იძულებითი ქორწინება

კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

იძულებითი ქორწინება – კანონმდებლობა და პრაქტიკა

თბილისი
2020

კვლევის ხელმძღვანელი: **მერაბ ქართველიშვილი**

ავტორები: **გვანცა საკანელაშვილი**
ნინო ჩიხლაძე

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**
ტექნიკური რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 5

ძირითადი მიგნებები 6

ქორწინების იძულების საერთაშორისო რეგულაცია 8

- იძულებითი ქორწინების პრევენცია 9
  - ქორწინების მინიმალური ზღვრის დაწესება 9
  - გოგონებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა 10
  - ცნობიერების ამაღლება 10

ქორწინების იძულება ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 12

- ქორწინების იძულების რეგულირება კანონმდებლობაში 12
- ცნობიერების ამაღლების კამპანია 12
- ქორწინების იძულების ფაქტების გამოძიება 13
- ქორწინების იძულების ფაქტებზე გამოტანილი სასამართლო განაჩენების ანალიზი 16

დასკვნა და რეკომენდაციები 18

დანართები 19

N1. გარდაბნის საქმე 19

N2. ზ.კ-ს საქმე 19

N3. კ.კ-ს საქმე 20

N4. ლ.ჭ-ს და ვ.შ-ს საქმე 21

N5. ლ.ე-ს საქმე 22

N6. ი.ო-ს საქმე 22

N7. მ.ე-ს საქმე 24

შესავალი

ქორწინების იძულება ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი რთული ფორმაა. მისი საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა იგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ქორწინება, რომელიც დაიდო ერთი ან ორივე პარტნიორის თანხმობის გარეშე და, შესაბამისად, ერთ-ერთი მათგანის ნების საწინააღმდეგოდ.[1] იძულებითი ქორწინება, კანონსაწინააღმდეგო ბუნების გარდა, იწვევს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას, რადგან ხშირ შემთხვევაში იძულებითი ქორწინების შემდეგ მსხვერპლს შეზღუდული აქვს ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, სექსუალურ და რეპროდუქციულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, განათლება, პირადი ცხოვრება, თავისუფლების უფლება და სხვა.

საერთაშორისო კონვენციები და პაქტები აღიარებს[2] საქორწინო ასაკს მიღწეული ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, რომლითაც სარგებლობენ დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის კავშირისას უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობითობას აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია.[3] იძულებითი ქორწინების დასჯადობის მიუხედავად, პრაქტიკაში ეს კვლავ გამოწვევად რჩება. წლებია, ქორწინების იძულების დანაშაულებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება დიდი პრობლემაა.[4]

კვლევის მიზანი იყო ქორწინების იძულების ფაქტების შესწავლა გენდერულ ჭრილში, ქორწინების იძულების საკითხზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისობის შემოწმება ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში სტამბოლის კონვენცია) მოთხოვნებთან. ასევე, ქორწინების იძულების ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური რეაგირების ანალიზი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქორწინების იძულების მსხვერპლები საქართველოში ქალები არიან. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ქვემო ქართლის რეგიონში. ყველაზე ხშირად სწორედ აქ იწყება გამოძიება იძულებითი ქორწინების საკითხთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის კოდექსში ქორწინების იძულების სპეციალური ნორმის შემოტანით და კრიმინალიზებით შესრულდა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნა. თუმცა, პრობლემად რჩება ამ საკითხთან დაკავშირებით პრევენციული საქმიანობა, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საზოგადოებაში ეფექტიანი სამუშაოების ჩატარება და უკვე მომხდარ ფაქტებზე შედეგიანი რეაგირება.

გამოწვევაა ქორწინების იძულების ფაქტებზე ბრალდებულებისთვის სათანადო სასჯელის შეფარდება. შვიდი განაჩენიდან სამ შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა პირობითი მსჯავრი, რაც მათ მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციულ სასჯელად ვერ შეფასდება.[5]

კვლევას თან ერთვის რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისთვის. საია იმედს გამოთქვამს, რომ ამ რეკომენდაციებსა და მიგნებებს ადრესატები გამოიყენებენ ქორწინების იძულების ფაქტების პრევენციის, უკვე ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და ქორწინების იძულების ჩამდენი პირისთვის ქმედების თანაზომიერი სასჯელის შეფარდებისთვის.

---

[1] European Union Agency for Fundamental Rights, Addressing forced marriage in the EU: legal provisions and promising practices, 2014, გვ. 2.

[2] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 12.
საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 23.

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30, პუნქტი 1.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2019, გვ. 204. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/376vGfG [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[5] დანართები: N1 , N2, N7.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა ქორწინების იძულების საკითხების რეგულირება ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო აქტებში, ასევე, გაეროსა და ევროპის საბჭოს გენერალური ასამბლეის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის დადგენილებები და რეკომენდაციები იძულებითი ქორწინების საკითხთან დაკავშირებით. ქორწინების იძულების პრევენციის, მომხდარ ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირებისა და საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირების მიზნით საიამ შეისწავლა რამდენიმე ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა და ქვეყნების მიერ პრევენციისთვის განხორციელებული ღონისძიებები.

ქორწინების იძულების საკითხების გამოსაკვლევად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112), შინაგან საქმეთა სამინისტროდან, გენერალური პროკურატურიდან, უზენაესი სასამართლოდან და საერთო სასამართლოებიდან საიამ გამოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 150[1]-ე მუხლით (ქორწინების იძულება) გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაცია.[6]

იძულებითი ქორწინების საკითხის სრულყოფილი შესწავლისთვის გაანალიზდა სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, უზენაესი[7] და სხვა საერთო სასამართლოებიდან[8] კვლევის ჯგუფმა გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები განხილული საქმეებისა და გამოტანილი განაჩენების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ოთხი წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების მიერ სულ განხილულია 7 სისხლის სამართლის საქმე 8 პირის მიმართ.

გამოთხოვნილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საიამ შეისწავლა ქორწინების იძულების ფაქტებზე გამოძიების დაწყების, შეწყვეტისა და საბოლოო შედეგის დადგომის ჩათვლით არსებული მდგომარეობა.

[6] ეს ინფორმაცია საიამ გამოითხოვა 2016 წლიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე.

[7] საიას განცხადება უზენაეს სასამართლოს, გ-04/35-20, 11.02.2020.

[8] საიას განცხადება თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს, გ-04/41-20, 5.03.2020.
საიას განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს, გ-04/42-20, 5.03.2020.
საიას განცხადება ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, გ-04/43-20, 5.03.2020.
საიას განცხადება გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს, გ-04/44-20, 5.03.2020.

ძირითადი მიგნებები

მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- ქორწინების იძულების კრიმინალიზაცია აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი საშუალებაა პრობლემის აღმოსაფხვრელად. **საერთაშორისო პრაქტიკა ქორწინების იძულების ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილავს მსგავსი ფაქტების პრევენციას;**
- ქორწინების **მინიმალური ასაკობრივი ზღვრის დაწესება,** გოგონებისთვის **განათლების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა** და **საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია** ქორწინების იძულების პრევენციის მნიშვნელოვანი ბერკეტებია;
- შსს-ს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, **გამოძიება 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით სულ 44 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო**,[9] მათ შორის, 2016 წელს - 2 ფაქტზე, 2017 წელს - 6-ზე, 2018 წელს - 16-ზე, 2019 წელს - 20-ზე;
- 2016-2019 წლების განმავლობაში **ყველაზე მეტი გამოძიება ქორწინების იძულების ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო ქვემო ქართლში.** საანგარიშო პერიოდში ამ რეგიონში ქორწინების იძულების ფაქტზე დაწყებულ **გამოძიებათა ჯამი მთელი საქართველოს მასშტაბით დაწყებული გამოძიებების 60%-ს შეადგენს** (44 საქმიდან 26);
- გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, **19 სისხლის სამართლის საქმეზე (44%) წარმოება შეწყდა.**[10] **ამ მაჩვენებლებით ყველაზე მეტ საქმეზე გამოძიება შეწყდა ქვემო ქართლში (13 საქმეზე).** ამასთან, ამ რეგიონში 2016 და 2017 წელს დაწყებული ყველა გამოძიება შეწყვეტილია;
- სისხლისსამართლებრივი **დევნა დაიწყო 14 პირის (მათ შორის ყველა კაცია) მიმართ.** ქორწინების იძულების ფაქტზე ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი პირის მიმართ (6 პირი) დევნა დაწყებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში;
- პროკურატურამ **დაზარალებულად ცნო** სულ 1**4 პირი. მათ შორის ყველა ქალია.** დაზარალებულად ცნობილ პირთაგან **სამი არასრულწლოვანია;**
- საანგარიშო პერიოდში **საერთო სასამართლოების მიერ სულ განხილულია 7 სისხლის სამართლის საქმე 8 პირის მიმართ;**[11]
- განაჩენების ანალიზმა აჩვენა, რომ **7 განაჩენიდან 3 საქმეზე - 4 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება,**[12] **არცერთ მსჯავრდებულს არ შეჰფარდებია რეალური თავისუფლების აღკვეთა. საპროცესო შეთანხმებით პირობითი მსჯავრი შეფარდებული აქვს 2 პირს**, მათ შორის, ერთ შემთხვევაში ქორწინების იძულება ჩადენილია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.[13] **ერთ საქმეში კი შეფარდებულია ჯარიმა ჯგუფურად თავისუფლების აღკვეთისა და ქორწინების იძულების ფაქტზე ბრალდებულ ორ პირთან;** [14]
- საქმის არსებითი განხილვით გამოტანილია ოთხი განაჩენი. განაჩენებიდან სასჯელის სახით **თავისუფლების აღკვეთა (რეალური სასჯელი) გამოყენებულია 2 მძიმე ფაქტზე** (ერთ შემთხვევაში სახეზეა ქორწინების იძულება ოჯახის წევრის მიერ წინასწარი შეცნო-

[9] შსს-ს ინფორმაციით, მონაცემები მოწოდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით. სისხლის სამართლის სტატისტიკა გამოძიების დაწყების მაჩვენებლებს განიხილავს სტატიკურად, მხოლოდ პირველადი კვალიფიკაციის ფარგლებში, შემდგომი ცვლილებების დინამიკურად გათვალისწინების გარეშე.

[10] საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი, N13/10842, 19.02.2020.

[11] დანართი N6.

[12] დანართები: N1, 2 , 4.

[13] დანართი N2.

[14] დანართი N4.

ბით არასრულწლოვნის მიმართ,[15] ხოლო მეორე შემთხვევაში - ქორწინების იძულებისა და გაუპატიურების დანაშაულთა ერთობლიობა[16]). **1 პირს შეფარდებული აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ხოლო 1-ს - პირობითი მსჯავრი;**

- ქორწინების იძულების ფაქტზე გამოტანილი განაჩენით, ერთ შემთხვევაში, ძირითად სასჯელთან (2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელი ჩაეთვალა პირობით მსჯავრად) ერთად, **ბრალდებულს განესაზღვრა მოძალადისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სასწავლო კურსის გავლა.**[17]

[15] დანართი N5.

[16] დანართი N3.

[17] დანართი N5.

ქორწინების იძულების საერთაშორისო რეგულაცია

იძულებითი ქორწინება არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და მძიმედ აისახება ქალებსა და გოგონებზე. ძალადობის ეს ფორმა შემდგომში ხდება ქალთა მიმართ ძალადობის ისეთი მძიმე ფორმების ხელშემწყობი, როგორიცაა სიცოცხლის, განათლების მიღების, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შეზღუდვა.[18]

ქორწინების უფლება არის პირის მიერ გაცნობიერებული და თავისუფალი ნების საფუძველზე განხორციელებული ქმედება, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით.

„...ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი მე-19 ზოგად რეკომენდაციაში ხაზს უსვამს იძულებითი ქორწინების საკითხს, რომლითაც კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2, მე-5 და მე-10 მუხლების ერთიანობაში განხილვით აღიარონ, რომ ტრადიციული შეხედულებები, სტერეოტიპული როლები და მასზე დაფუძნებული იძულებითი ქორწინება არის ძალადობა ქალთა მიმართ და მიიღონ ყველა შესაფერისი ზომა, რათა შეიცვალოს აღნიშნული ტრადიციები და სტერეოტიპული შეხედულებები. კომიტეტი ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებს, ოჯახში ძალადობის დეფინიცია განმარტონ იმგვარად, რომ დამაზიანებელი ტრადიციები და იძულებითი ქორწინება განიხილებოდეს, როგორც ქალთა მიმართ ძალადობა“.[19]

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, წლებია, ფოკუსირებულია ძალადობის ფორმებზე, რომლებიც ცნობილია, როგორც „მავნე კულტურული და ტრადიციული პრაქტიკა“. ძალადობის ეს ფორმები მოიცავს ქალების გენიტალიების დასახიჩრებას, ჩვილი გოგონების მკვლელობას, სქესის პრენატალურ შერჩევას, ბავშვთა ქორწინებას, იძულებით ქორწინებას, მზითვთან დაკავშირებულ ძალადობას, ე.წ. „ღირსების“ დანაშაულს და ქვრივთა მიმართ უხეშ მოპყრობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება თავდაპირველად მიმართული იყო იმისკენ, თუ რა გავლენას ახდენს ძალადობის ეს ფორმები ქალებსა და ბავშვებზე, ასევე, ქორწინების მნიშვნელობაზე, რომელიც დამყარებულია პოტენციური მეუღლის სრულ და თავისუფალ ნებაზე. 1990-იანი წლებიდან ისინი ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებს, რაც გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას და ქალთა უფლებების დარღვევას წარმოადგენს. ყოვლისმომცველი საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოები ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ აამოქმედონ, განახორციელონ და მონიტორინგი გაუწიონ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონმდებლობას, მათ შორის, „მავნე კულტურულ ან ტრადიციულ პრაქტიკას“ (შემდგომში „მავნე პრაქტიკა“).

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია[20] განსაზღვრავს, რომ ბავშვთა ნიშნობასა და ქორწინებას არ უნდა ჰქონდეს არანაირი სამართლებრივი ძალა. ქვეყნებმა უნდა დაადგინონ ქორწინების მინიმალური ასაკი, ამასთან, ქორწინებათა რეგისტრაცია სავალდებულო უნდა გახდეს. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის 1993 წლის გენერალური ასამბლეის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „სახელმწიფოებმა უნდა დაგმონ ქალთა მიმართ ძალადობა და არ უნდა დაეყრდნონ რომელიმე ჩვეულებას, ტრადიციას ან რელიგიურ მოსაზრებას და ამით თავიდან აიცილონ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული მათი წილი პასუხისმგებლობა“.

გენერალური ასამბლეა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა მთავრობათაშორისი ორგანოები მოუწოდებენ მთავრობებს, შეიმუშაონ და სრულად განახორციელონ კანონები და სხვა ზომები ისეთი მავნე ჩვეულებითი ან ტრადიციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, როგორიცაა ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ადრეული და იძულებითი ქორწინება და ე.წ. „ღირსების“ დანაშაული. გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, „განიხილონ და საჭიროების შემთხვევაში გადახედონ, შესწორება შეიტანონ ან გაუქმონ ყველა კანონი,

[18] United Nations „Child, early and forced marriage, including in humanitarian settings“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hxiSn1 [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[19] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2012, გვ. 707. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UOaMwB [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[20] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, მუხლი 16 (2).

რეგლამენტი, პოლიტიკა, პრაქტიკა და ჩვეულებები, რომლებიც ახდენს ქალთა დისკრიმინაციას ან დისკრიმინაციულ გავლენას და უზრუნველყოს კომპლექსური სამართლებრივი სისტემების (მათი არსებობის შემთხვევაში) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან, მოვალეობებსა და პრინციპებთან შესაბამისობა".[21]

2009 წლის აპრილში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო დადგენილება და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა, შეიმუშაონ ისეთი ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც დასჯადს გახდის იძულებით ქორწინებას, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრებას და აკრძალავს გენდერული ნიშნით ადამიანის[22] დისკრიმინაციას.

გაეროს გენერალური მდივნის 2006 წლის სიღრმისეულ კვლევაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ[23] აღნიშნულია, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით კვლავ დაშვებულია ადრეული ან იძულებითი ქორწინება და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დროს იყენებენ არაპროპორციულად მცირე სასჯელს, მათ შორის, ე.წ. „ღირსების" დანაშაულზე ვრცელდება სასჯელის შემცირება ან/და გაუქმება.

იძულებითი ქორწინების პრევენცია

იძულებითი ქორწინების კრიმინალიზაცია ერთ-ერთი, მაგრამ არასაკმარისი საშუალებაა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.[24] უკვე მომხდარი ფაქტების ეფექტიანი და დროული გამოძიება, დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა წლების განმავლობაში ქორწინების იძულების წინააღმდეგ ბრძოლა უპირველესად მის პრევენციას ისახავს მიზნად. საერთაშორისო პრაქტიკა ქორწინების იძულების პრევენციის მნიშვნელოვან ბერკეტად განიხილავს:

მინიმალური ასაკობრივი ზღვრის დაწესებას;

გოგონებისთვის განათლების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას;

ცნობიერების ამაღლების კამპანიებს.

ქორწინების მინიმალური ზღვრის დაწესება

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს ავალდებულებს, თავიანთ კანონმდებლობაში განსაზღვრონ ქორწინების მინიმალური ასაკი. გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტისა და გაეროს დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიხედვით, რეკომენდებულია, სახელმწიფოს მხრიდან დაწესდეს ქორწინების მინიმალური ასაკი და განისაზღვროს 18 წლით როგორც გოგონების, ისე ბიჭებისთვის.[25]

ქვეყნების უმრავლესობაში ქორწინების მინიმალური ასაკი განსაზღვრულია. ევროპის ქვეყნებიდან ნიდერლანდების სამეფოში დადგენილია არა მხოლოდ ქორწინების მინიმალური ასაკი, არამედ ისიც, რომ არ აღიარებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ 18 წლამდე პირთა ქორწინებას. ნიდერლანდები საზღვარგარეთ 18 წელს მიუღწეველი პირების ქორწინებას მხოლოდ მას შემდეგ აღიარებს, რაც დაქორწინებულები 18 წელს მიაღწევენ.[26]

---

[21] Report of the expert group meeting, „GOOD PRACTICES IN LEGISLATION ON "HARMFUL PRACTICES" AGAINST WOMEN", Expert group meeting organized by United Nations Division for the Advancement of Women United Nations Economic Commission for Africa Addis Ababa, Ethiopia 26 to 29 May 2009. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fvb7wc [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[22] ევროსაბჭოს მე-5 პრესრელიზი, „PACE რომელიც მოუწოდებს გენდერული ნიშნით ადამიანის უფლებების დარღვევის აკრძალვის და დასჯისკენ", 28/04/2009, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2AGVH95 [ბოლო ნახვა: 19.11.2020].

[23] United Nations, Study of the Secretary General ,"Ending Violence against Women: from words to action", 2006, (A/61/122/Add.1 and Corr.1).

[24] Max Wind-Cowie, Philida Cheetham, Thomas Gregory „ENDING FORCED MARRIAGE", 2012, P.21 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37z9Y3F [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[25] Committee on the Rights of the Child, General Comment No. 4, 2003, P. 5. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37xG541 [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[26] Government of the Netherland " Tackling forced marriage". ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hBYcKO [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

ნორვეგიამ გამოაქვეყნა ახალი წესები მის ფარგლებს გარეთ ქორწინების შესახებ იმ შემთხვევებისთვის, თუ მინიმუმ ერთ-ერთი მეუღლე ნორვეგიის მოქალაქე ან მუდმივი მაცხოვრებელია. ქორწინება, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხდება, არ იქნება აღიარებული ნორვეგიის მიერ, თუ ქორწინების დროს ერთ-ერთი მხარე 18 წლამდე ასაკისაა, თუ ქორწინების ცერემონიალი მიმდინარეობს ორივე მხარის ფიზიკური დასწრების გარეშე ან თუ ერთ-ერთი მხარე უკვე ქორწინებაში იმყოფება. მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ „წევრი ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, უნდა სარგებლობდნენ იმავე უფლებებით და მოვალეობებით, როგორითაც წევრი სახელმწიფოს სხვა მოქალაქეები“.[27]

ასევე, გარკვეულ კულტურებში მშობლები და მეურვეები ინტენსიურად მონაწილეობენ შვილების დანიშვნასა და ქორწინებაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი კანონმდებლობით ექსპლიციტურად განისაზღვროს ბავშვთა ქორწინების ორგანიზებაში ჩართულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მაგალითად, ტაჯიკეთის სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, დასჯადი დანაშაულია, თუ მშობლები ან მეურვეები ათხოვებენ ქორწინების ასაკს მიუღწეველ გოგონას. საქორწინო ასაკს მიუღწეველ პირთან ქორწინება ასევე ისჯება კანონით. ინდოეთის ბავშვთა ქორწინების აკრძალვის შესახებ კანონი (2007წ.) ითვალისწინებს სასჯელის მკაცრ ზომებს მათთვის, ვინც ბავშვზე იქორწინებს. ადგენს სპეციალურ სასჯელს იმ პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ, აქეზებენ ან წარმართავენ ბავშვთა ქორწინებას, ან ჩართულნი არიან საქორწინო ცერემონიის აღნიშვნასა და ხელშეწყობაში, ასევე მათთვის, ვინც ნებას რთავს და არ უზრუნველყოფს ბავშვთა ქორწინების პრევენციას.[28]

გოგონებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა

იძულებითი ქორწინება უმეტესად ხდება ტრადიციული ძალაუფლების მქონე, პატრიარქალურ იერარქიაზე დამყარებულ საზოგადოებებში.[29] პატრიარქალურ იერარქიაში წარმოქმნილი როლები (მამა, დედა, შვილი) და მათთან დაკავშირებული მოლოდინი ქმნის იძულებითი ქორწინების მანკიერი პრაქტიკის ლეგიტიმაციას. შესაბამისად, დამნაშავეებმა შეიძლება თავიანთი ქმედებები არალეგიტიმურად არ მიიჩნიონ. სწორედ ამიტომ, განათლება ქორწინების იძულების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია ხაზს უსვამს იმ ღონისძიებების მნიშვნელობას, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში რეგულარულ დასწრებას, ბევრი გოგონა მაინც ვერ იღებს განათლებას მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე (მაგალითად, იმის გამო, რომ სკოლები მიუწვდომელია, მოძალადე ხშირად არ აძლევს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას).[30]

განათლება ხელს უწყობს ქალთა გაძლიერებას, დასაქმების, არჩევანის თავისუფლებას, საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას და ა.შ. ეს კი ქალებს აძლევს საშუალებას, გათავისუფლდნენ იძულების სხვადასხვა ფორმისგან.

ცნობიერების ამაღლება

ქორწინების იძულების პრევენციის საშუალებაა საზოგადოების ცნობიერების გაზრდა. ცნობიერების ამაღლება საზოგადოებებში, რომლებშიც იძულებითი ქორწინება ხდება, საფუძველს უყრის ქალის დამოუკიდებლობის, ინდივიდუალური და თავისუფალი არჩევანის უფლებათა მიმღებლობას.

[27] იქვე.

[28] იქვე.

[29] FRA “legal provisions and promising practices”, 2014,P. 32. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Y7fXKg [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[30] Towards an EU external strategy against early and forced marriages, (2017/2275(INI)), 2018, P. I. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YE03WL [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებიდან აღსანიშნავია ნიდერლანდების სამეფოში ჩატარებული კამპანია „ქორწინება თქვენი ნების წინააღმდეგ“.[31] ის მოუწოდებს ახალგაზრდებს, რომლებიც იძულებულნი არიან, იქორწინონ საკუთარი ნების წინააღმდეგ, ისაუბრონ ამაზე და მიიღონ დახმარება. კამპანიისთვის სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია არჩევანის თავისუფლების, იძულებითი ქორწინების მსხვერპლებისთვის არსებული სერვისებისა და მათი მიმწოდებლების შესახებ.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ასევე შექმნილია „ღირსებისა და უსაფრთხოების პლატფორმა“,[32] რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის პროფესიონალებს, იძულებითი ქორწინების მსხვერპლებს, ამ საკითხებზე მომუშავე მოხალისეებს. პლატფორმა წელიწადში ორჯერ ატარებს ერთდღიან ეროვნულ კონფერენციას. მონაწილეებს შეუძლიათ, გაცვალონ იდეები და ისწავლონ ერთმანეთისგან.

[31] კამპანიის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KQg2xv [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[32] პლატფორმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37zcBm3 [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

ქორწინების იძულება ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

ქორწინების იძულების რეგულირება კანონმდებლობაში

საქართველოს კონსტიტუციით, ქორწინება მეუღლეთა თანასწორუფლებიანობასა და ნებაყოფლობითობაზეა დაფუძნებული.[33] საქართველოში ქორწინების რეგისტრაცია ნებადართულია 18 წლიდან.[34] სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 150[1]-ე მუხლით კი კრიმინალიზებულია ქორწინების იძულება.[35]

სსკ-ის 150[1]-ე მუხლი კოდექსში 2014 წელს ქართული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაგეგმილი ცვლილებების პროცესში გაჩნდა.[36] მიღებიდან დღემდე კოდექსის ამ მუხლში ორი ცვლილება შევიდა. ამჟამად, როგორც რეგისტრირებული, ისე არარეგისტრირებული ქორწინების იძულება ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ორასიდან ოთხას საათამდე ვადით ან/და თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით. ქორწინების იძულება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ან/და არაერთგზის სსკ-ის 150[1]-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. კოდექსის მიხედვით, ***„ქორწინების იძულება მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ იძულებას. იძულებითი ქორწინება დამთავრებულად ითვლება იძულების განხორციელების მომენტიდან და არ აქვს მნიშვნელობა, მოახერხა თუ არა დამნაშავემ მიზნის მიღწევა და რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული ქორწინების ფაქტი დადგა თუ არა“.***

ცნობიერების ამაღლების კამპანია

ქორწინების იძულების ფაქტების პრევენცია ისევე მნიშვნელოვანია, როგორც უკვე არსებულ შემთხვევებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. ქალთა და გოგონათა გაძლიერების უზრუნველყოფა (მათთვის შესაბამისი განათლების მიცემით), საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებში მიჩნეულია საუკეთესო პრევენციულ ზომებად იძულებითი და ადრეული ქორწინების წინააღმდეგ. ამ საკითხზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ქვეყანაში შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს. მთავრობასთან ერთად, ამ კუთხით ღონისძიებებს ატარებენ სახალხო დამცველი და არასამთავრობო სექტორი.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების კამპანიის მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია 2018-2019 წელს მთავრობის მიერ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანია.[37] 2018 წელს შსს-ს თანამშრომლებმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, აჭარასა და სამეგრელოში 12 შეხვედრა გამართეს. შეხვედრებზე საუბრობდნენ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე, ასეთ ფაქტებზე ხარისხიანი გამოძიების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და სამინისტროს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიღწეულ შედეგებზე.

მთავრობის მიერ განხორციელებული ცნობიერების კამპანია დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა იგი არასაკმარისია. მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა უწყვეტად მიმდინარეობდეს. ქორწინების იძულების ფაქტების პრევენცია შესაძლებელია მოსა-

---

[33] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30.

[34] სამოქალაქო კოდექსი მუხლი, 1108.

[35] საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ N2704-Iს, 2014. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35aaa8x [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[36] განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2013. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35bF28q [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

[37] საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის განცხადება, „საქართველოს მთავრობა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიას შეუერთდა“, 2018. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/362cqRo [ბოლო ნახვა: 26.11.2020].
შსს-ს კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“, 2019. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2HuMIeD [ბოლო ნახვა: 26.11.2020].

ხლეობაში გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების საკითხების აქტიური განხილვითა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით.

ქორწინების იძულების ფაქტების გამოძიება

ქორწინების იძულების მსხვერპლთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტი გამოძიების სრულყოფილად და დროის მოკლე პერიოდში ჩატარებაა. იძულებითი ქორწინების შემთხვევათა უმრავლესობაში ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ახლო ურთიერთობიდან გამომდინარე, დაზარალებულთა მხრიდან გამოძიების გაგრძელებაზე შესაძლო უარის თქმის, დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების შეცვლისა და დამნაშავის დაუსჯელობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია დანაშაულის შეტყობინებიდან მცირე დროში გამოძიების ეფექტიანად წარმართვა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების (ბრალის წარდგენა) დროული მიღება სამართალდამცავი უწყების მხრიდან.

ქორწინების იძულების ფაქტებთან დაკავშირებით, საიამ შინაგან საქმეთა სამინისტროდან[38] და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან[39] გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია 2016 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150[1]-ე ან/და ამ მუხლთან ერთობლიობით გათვალისწინებულ დანაშაულზე:

1. შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში (112) შესული ზარების ოდენობა;
2. შსს-ს მიერ რამდენ საქმეზე და რამდენი პირის მიმართ დაიწყო გამოძიება;
3. პროკურატურის ინფორმაციით, რამდენ საქმეზე და რამდენი პირის მიმართ შეწყდა გამოძიება;
4. რამდენ საქმეზე და რამდენი პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა;
5. რამდენმა პირმა მიმართა პროკურატურას დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით:
   - მიმართვებიდან რამდენი დაკმაყოფილდა;
   - რამდენ პირს ეთქვა უარი დაზარალებულად ცნობაზე;
   - რამდენი დადგენილება გასაჩივრდა ზემდგომ პროკურორთან.
6. რამდენ საქმეზე და რამდენ პირთან დაკავშირებით მიემართა შუამდგომლობით საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე საქართველოს საერთო სასამართლოებს.

გამოთხოვნილი ინფორმაციის პირველ პუნქტზე შსს-ს პასუხის[40] თანახმად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მოთხოვნილი ფორმით სტატისტიკურ მონაცემებს არ ამუშავებს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია საიასთვის უცნობია, თუმცა სამინისტროდან კვლევის ჯგუფმა მიიღო სტატისტიკური ინფორმაცია[41] გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. ამ მონაცემების მიხედვით, გამოძიება 2016-იდან 2019 წლის ჩათვლით პერიოდში სულ 44 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო.[42] **2016 წელს** სსკ-ის 150[1]-ე მუხლით **გამოძიება დაიწყო 2 საქმეზე, 2017 წელს გამოძიების დაწყების მაჩვენებელი გასამმაგდა და 6-მდე გაიზარდა. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის კვლავ გასამმაგდა და** გამოძიების დაწყების მაჩვენებელმა 16 შეადგინა, **2019 წელს კი - 20** (იხ. დიაგრამა N1).

[38] საიას განცხადება, გ/04-36-20, 11.02.2020.
საიას განცხადება, გ/04-45-20, 05.03.2020.

[39] საიას განცხადება, გ/04-33-20, 11.02.2020.
საიას განცხადება, გ/04-40-20, 11.02.2020.

[40] შსს-ს წერილი, MIA12000508895 , 26.02.2020.

[41] შსს-ს წერილი, MIA 02000688588, 16.03.2020.

[42] შსს-ს ინფორმაციით, მონაცემები მოწოდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით. სისხლის სამართლის სტატისტიკა გამოძიების დაწყების მაჩვენებლებს განიხილავს სტატიკურად, მხოლოდ პირველადი კვალიფიკაციის ფარგლებში, შემდგომი ცვლილებების დინამიკურად გათვალისწინების გარეშე.

დიაგრამა N1

დიაგრამა ასახავს 4 წლის განმავლობაში ქორწინების იძულების ფაქტზე (სსკ-ის 150[1]-ე მუხლი) დაწყებული გამოძიების მაჩვენებლებს.



შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 -2019 წლებში ყველაზე მეტი გამოძიება ქორწინების იძულების ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო ქვემო ქართლში. საანგარიშო პერიოდში ამ რეგიონში ქორწინების იძულების ფაქტზე დაწყებულ გამოძიებათა ჯამი მთელი საქართველოს მასშტაბით დაწყებული გამოძიებების 60%-ს შეადგენს - 44-იდან 26 საქმე (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1

ცხრილი ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150[1]-ე მუხლით გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებულ სტატისტიკას, წლებისა და ტერიტორიული განფენილობის მიხედვით.

სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა, რომლებზეც გამოძიება დაიწყო 2016 - 2019 წლებში სსკ-ის 150[1]-ე მუხლით				
რეგიონი	**2016 წელი**	**2017 წელი**	**2018 წელი**	**2019 წელი**
თბილისი	0	0	2	2
აჭარა	0	0	0	6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0	0	1	0
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0	1	1	2
კახეთი	0	0	0	3
ქვემო ქართლი	2	5	12	7

გამოთხოვნილი ინფორმაციის (პუნქტი 3) პასუხად, საიას გენერალური პროკურატურიდან ეცნობა, რომ **დაწყებული გამოძიებებიდან (44 საქმე) 19 სისხლის სამართლის საქმეზე (მთელი საქმეების 44%) წარმოება შეწყდა.[43] შეწყვეტილი გამოძიებების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ქვემო ქართლი (13 საქმე 26 საქმიდან). *ამასთან, ქვემო ქართლში 2016 და 2017 წელს დაწყებული ყველა გამოძიება შეწყვეტილია.***

მიმდინარე გამოძიებების (25 საქმე) ფარგლებში, პროკურატურის მონაცემებით, **დევნა დაიწყო**

14 პირის (მათ შორის ყველა კაცია) მიმართ. ქორწინების იძულების ფაქტზე ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი პირის მიმართ (6 პირი) დევნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია დაწყებული (იხ. დიაგრამა N2).

დიაგრამა N2

დიაგრამა ასახავს 2016-2019 წლებში ქორწინების იძულების ფაქტზე პირთა მიმართ რეგიონებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობრივ მაჩვენებელს.



ქალთა მიმართ ძალადობის ამ ფორმასთან დაკავშირებით ევროპარლამენტი საჭიროდ მიიჩნევს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გააძლიერონ ძალისხმევა ქორწინების იძულების პრევენციისთვის და უკვე დაფიქსირებულ ფაქტებთან ბრძოლის მიმართულებით, უზრუნველყონ მსხვერპლთა დაცვის ეფექტიანი გარანტიები.[44] მსხვერპლთა დაცვის უპირველესი ნაბიჯი მისი სტატუსის აღიარება და დაზარალებულად ცნობაა. გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, **2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით პერიოდში პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობილია სულ 14 პირი და აქედან ყველა ქალია. დაზარალებულად ცნობილ პირთაგან სამი არასრულწლოვანი, ხოლო 11 სრულწლოვანია. 25 სისხლის სამართლის საქმიდან 14 შემთხვევაში მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, ყველა მსხვერპლს მიეცეს საშუალება, მიიღოს დაზარალებულის სტატუსი, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვთ წვდომა გამოძიების მიმდინარეობასა და სისხლის სამართლის საქმის მასალებზე, რაც მათი უფლებების სრულყოფილად დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა.**[45]

გენერალურმა პროკურატურამ საიას არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენმა პირმა მიმართა მას დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით, რამდენი დაკმაყოფილდა, 2016-2019 წლებში დაფიქსირდა თუ არა ზემდგომ პროკურორთან დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის დადგენილების გასაჩივრების ფაქტი. ასევე, კვლევის ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი, რამდენ საქმეზე და რამდენ პირთან დაკავშირებით მიემართა პროკურატურის მხრიდან საერთო სასამართლოებს საპროცესო შეთანხმების გაფორმების შუამდგომლობით.

[44] ევროპარლამენტის რეზოლუცია, N14574 (2018), პ. 6, 7.6.

[45] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 57, ნაწილი 1, „თ“ ქვეპუნქტი.

ქორწინების იძულების ფაქტებზე გამოტანილი სასამართლო განაჩენების ანალიზი

თავისუფალი ნების საფუძველზე ქორწინების უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და პირდაპირ კავშირშია ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან. ამ უფლების შეზღუდვა გოგონებისა და ქალებისთვის იწვევს სხვა მნიშვნელოვან უფლებათა უხეშ დარღვევას. ქორწინების იძულების ფაქტებზე სწრაფი მართლმსაჯულება დაზარალებულთა უფლებების დაცვის მექანიზმია.

ამ დანაშაულებზე ქართული სასამართლო პრაქტიკის მიზნით, საქართველოს უზენაესი[46] და საერთო სასამართლოებიდან[47] საიამ გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები საერთო სასამართლოების მიერ განხილული საქმეებისა და დამდგარი განაჩენების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ოთხი წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების მიერ სულ განხილულია 7 სისხლის სამართლის საქმე 8 პირის მიმართ, 2016 და 2018 წლებში - 3 საქმე, 2017 წელს - არცერთი, ხოლო 2019 წელს - განაჩენი გამოტანილია ერთ საქმეზე. ამათგან ყველაზე მეტი - სამი სისხლის სამართლის საქმე - განხილული აქვს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს: 2 საქმე - 2016, ხოლო 1 - 2018 წელს[48] (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2

ცხრილი ასახავს 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით საერთო სასამართლოების მიერ ქორწინების იძულების ფაქტებზე მიღებული განაჩენების ოდენობას წლებისა და რეგიონების მიხედვით

ქორწინების იძულების ფაქტებზე სასამართლოში განხილული საქმეები				
საერთო სასამართლოები	**2016**	**2017**	**2018**	**2019**
თბილისის საქალაქო სასამართლო	0	0	1	1
გარდაბნის მაგისტრი სასამართლო	1	0	0	0
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	2	0	1	0
თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო	0	0	1	0

გაანალიზებული **მასალების თანახმად, 2016-2019 წლებში სულ გამოტანილია 7 განაჩენი 8 პირის მიმართ. აქედან 3 საქმეზე (4 პირთან) დადებულია საპროცესო შეთანხმება და განაჩენი გამოტანილია არსებითი განხილვის გარეშე. საპროცესო შეთანხმებით ორ საქმეში შეფარდებულია პირობითი მსჯავრი** (მათ შორის, 1 შემთხვევაში **ქორწინების იძულება ჩადენილია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ),** ერთ საქმეში (2 პირის მიმართ) სასამართლომ სასჯელის სახით გამოიყენა ჯარიმა.[49]

7 საქმიდან არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილია 4 განაჩენი. აქედან სასჯელის სახით **რეალური თავისუფლების აღკვეთა (პატიმრობა) გამოყენებულია 2 საქმეში.** ერთგან დადგინდა ქორწინების იძულება ოჯახის წევრის მიერ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში - ქორწინების იძულებისა და გაუპატიურების დანაშაულთა ერთობლიობა. საქმის არსებითი განხილვით, ქორწინების იძულების ფაქტზე **ერთ საქმეში ბრალდებულს შეფარდებული აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ხოლო კიდევ 1 საქმეში გამოყენებულია პირობითი მსჯავრი** (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2

ცხრილი ასახავს 2016-2019 წლებში საერთო სასამართლოების მიერ ქორწინების იძულების ფაქტების კვალიფიკაციისა და გამოყენებული სასჯელების შესახებ ინფორმაციას.

2016 - 2019 წლებში ქორწინების იძულების საქმეებზე გამოყენებული სასჯელები დანაშაულთა კვალიფიკაციისა და განაჩენის ტიპის მიხედვით		
დანაშაულის კვალიფიკაცია	**შეფარდებული სასჯელი**	**განაჩენის ტიპი**
სსკ-ის 151[1]-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, „ა“ ქვეპუნქტი	**თავისუფლების აღკვეთა 2 წელი/ ჩაეთვალა პირობითად**	**საპროცესო შეთანხმება**
სსკ-ის 150[1]-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი	**თავისუფლების აღკვეთა 1 წელი და 6 თვე/ჩაეთვალა პირობითად**	**საპროცესო შეთანხმება**
სსკ-ის 143-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, „გ“ქვეპუნქტი სსკ-ის 143-ე მუხლი, მე-3 ნაწილი, „ა“ ქვეპუნქტი სსკ-ის 25,150[1]-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი	**ჯარიმა 5000 ლარი**	**საპროცესო შეთანხმება**
სსკ-ის 143-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, „გ“ ქვეპუნქტი სსკ-ის 143-ე მუხლი, მე-3 ნაწილი, „ა“ ქვეპუნქტი სსკ-ის 150[1]-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი	**ჯარიმა 5000 ლარი**	**საპროცესო შეთანხმება**
სსკ-ის მე-11[1], 150[1]-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, „ა“ ქვეპუნქტი	**თავისუფლების აღკვეთა 2 წელი/ აქედან 1 ჩაეთვალა პირობითად**	**არსებითი განხილვა**
სსკ-ის 151[1]-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი სსკ-ის 137-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი	**თავისუფლების აღკვეთა 7 წელი**	**არსებითი განხილვა**
სსკ-ის 150[1]-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი	**საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 250 საათი**	**არსებითი განხილვა**
სსკ-ის 126-ე მუხლი, 1[2]-ლი ნაწილი სსკ-ის 150[1]-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი	**თავისუფლების აღკვეთა 2 წელი/ ჩაეთვალა პირობითად**	**არსებითი განხილვა**

ქორწინების იძულების მსხვერპლთათვის, დანაშაულის სწრაფ და ეფექტიან გამოძიებასთან ერთად, მნიშვნელოვანია საქმეზე დროული გადაწყვეტილების მიღება და მოძალადისთვის სამართლიანი სასჯელის შეფარდება. არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ქორწინების იძულების, ასევე, ქორწინების იძულების, რომელსაც თან ახლდა სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია,[50] სასჯელის სახით პირობითი მსჯავრის შეფარდება[51] ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულისთვის სამართლიანობის აღდგენას. ასევე, არასრულწლოვნის ქორწინების იძულების, ქორწინების იძულების მიზნით ჯგუფური თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება და სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება ვერ ჩაითვლება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის თანაზომიერ სასჯელად.[52]

დადებითად შეიძლება შეფასდეს ქორწინების იძულების ფაქტზე გამოტანილი განაჩენით მოძალადისთვის, დამატებითი სასჯელის სახით, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის დაკისრება.[53]

[50] სსკ-ის მუხლი 126, ნაწილი 1[2].

[51] დანართი N7.

[52] დანართი N2.

[53] აღნიშნული დამატებითი ვალდებულება მსჯავრდებულისთვის, რომელიც შვილს აიძულებდა ქორწინებას, განსაზღვრულია თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის განაჩენით. დანართი N6.

დასკვნა და რეკომენდაციები

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ქორწინების იძულების ფაქტები და მათზე რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. კვლევამ აჩვენა, რომ ქორწინების იძულების მსხვერპლები ქალები, ხოლო ბრალდებულები კაცები არიან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქორწინების იძულების ფაქტებზე ყველაზე ხშირად გამოძიება იწყება ქვემო ქართლში, თუმცა დაახლოებით მათი ნახევარი წყდება. ამ რეგიონში საქმეებზე საბოლოო შედეგის დადგომის, განაჩენის გამოტანის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

კვლევამ აჩვენა, რომ ქორწინების იძულების ფაქტებზე ბრალდებულებისთვის სათანადო სასჯელის შეფარდება გამოწვევაა. ბრალდებულებისთვის პირობითი მსჯავრის შეფარდების[54] ან/და მათთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების ხშირი შემთხვევები ვერ ჩაითვლება ჩადენილი ქმედების პროპორციულ სასჯელად. კვლევაში დადებითად შეფასდა ქორწინების იძულების ფაქტზე ბრალდებულისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის დაკისრება.[55]

საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქორწინების იძულების პრობლემასთან ბრძოლის ეფექტიანი და აუცილებელი გზა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა. ცნობიერების ამაღლების საჭიროება კი, ძირითადად, რეგიონებშია, სადაც ამგვარ ფაქტებზე გამოძიების დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და პრობლემის სიმწვავე გამოიკვეთა.

საიას მიაჩნია, რომ იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებების მხრიდან შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

საქართველოს მთავრობას

- შესაბამისი სამთავრობო უწყებების, სამოქალაქო ორგანიზაციების, ქალთა ჯგუფების, თემის ლიდერებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შეიმუშაოს ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ქორწინების იძულების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტი;
- ქორწინების იძულების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქვემო ქართლს, სადაც ქორწინების იძულების ფაქტებზე გამოძიების დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია;
- უზრუნველყოს ქალებისა და გოგონებისთვის ყოვლისმომცველი განათლება გენდერული თანასწორობის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ;
- უზრუნველყოს შესაბამისი პლატფორმის შექმნა გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შორის ბავშვთა ადრეული და იძულებითი ქორწინების შესახებ ინფორმაციის გაცვლისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს

- ეფექტიანი და სწრაფი პირველადი რეაგირება მოახდინოს იძულებითი ქორწინების ყველა შემთხვევაზე;
- გონივრულ ვადებში უზრუნველყოს ქორწინების იძულების საქმეების გამოძიება.

საქართველოს პროკურატურას

- განახორციელოს ეფექტიანი ზედამხედველობა ქორწინების იძულების ფაქტების დროულ და ყოველმხრივ გამოძიებაზე;
- უზრუნველყოს ქორწინების იძულების მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის დროული მინიჭება და საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება გონივრულ ვადებში;
- შეცვალოს ქორწინების იძულების ფაქტებზე ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმებების გაფორმების პრაქტიკა.

[54] დანართები: N1, N2, N7.

[55] დანართი N6.

დანართები

2016 წლის საქმეები

N1. გარდაბნის საქმე

განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე

აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ იყო გამოყენებული

კვალიფიკაცია: სსკ-ის 1501-ე მუხლის პირველი ნაწილი - ქორწინების იძულება

გაფორმდა საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმებით, სასჯელის სახით განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რაც ჩაითვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად განისაზღვრა 1 წელი და 6 თვე.

2016 წლის აგვისტოს თვეში დაახლოებით 08:30 საათიდან 17:00 საათამდე პერიოდში, ბრალდებულმა დაზარალებული გადაიყვანა ერთი სოფლიდან მეორეში მასთან ქორწინების მიზნით.

2016 წლის ოქტომბრის თვეში რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორს, ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. პროკურორმა იშუამდგომლა ბრალდებულისთვის სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, ითხოვა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 150[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქორწინების იძულება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის.

N2. ზ.კ-ს საქმე

ზუგდიდის რაიონული სასამართლო

განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე

უცნობია აღკვეთის ღონისძიების რომელი სახე იყო გამოყენებული ან/და გამოყენებული იყო თუ არა

ბრალდებული - არასრული საშუალო განათლების მქონე, დაუოჯახებელი, ნასამართლობის არმქონე

კვალიფიკაცია: სსკ-ის 1501-ე მუხლის მეორე ნაწილით - ქორწინების იძულება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ

გაფორმდა საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმებით სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

2016 წლის 29 იანვარს ზ.კ. შეხვდა არასრულწლოვან ქ.გ-ს და სთხოვა, ჩამჯდარიყო მისი მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში, რა დროსაც შესთავაზა დაქორწინება. ქ.გ-ს უარის მიუხედავად, ის მაინც აიძულებდა დაქორწინებას და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ცდილობდა, დაეთრგუნა მისი

უარი. ზ.კ-ს მიერ არასრულწლოვან ქ.გ-ს იძულება გაგრძელდა მთელი დღის განმავლობაში.

2016 წლის 7 მარტს გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორს, ბრალდებულ ზ.კ-სა და ადვოკატ ს.ჯ-ს შორის.

პროკურორმა იშუამდგომლა ზ.კ-ს მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, ითხოვა ბრალდებული ზ.კ-ს ცნობა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150[1]-ე მუხლის მეორე ნაწილით.

N3. კ.კ-ს საქმე

ზუგდიდის რაიონული სასამართლო

საქმე განიხილა დახურულ სასამართლო სხდომაზე

აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა

ბრალდებული - კ.კ. საშუალო განათლების მქონე, უმუშევარი, ქვრივი, ნასამართლობის არმქონე (სასამართლო განაჩენში მითითებული იყო: ნასამართლობა გაქარწყლებული)

კვალიფიკაცია: სსკ-ის 1501-ე მუხლის პირველი ნაწილი - ქორწინების იძულება. სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი - გაუპატიურება, ესე იგი, სქესობრივი კავშირი ძალადობით და ძალადობის მუქარით.

სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით

მიუხედავად რამდენიმედღიანი თავისუფლების აღკვეთისა, კ.კ-ს ბრალი სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის წარდგენილი არ აქვს.

კ.კ-მ და ნ.ჯ-მ ერთმანეთი გაიცნეს ინტერნეტით, დაახლოებით 2015 წელს. 2016 წლის 21 მარტამდე ჰქონდათ სატელეფონო კავშირი. 2016 წლის 21 მარტს ნ.ჯ. და კ.კ. წინასწარ შეთანხმებისამებრ შეხვდნენ ერთმანეთს სოფელ დ-ში, საიდანაც წავიდნენ სოფელ ხ-ში, კაფეში, იქიდან კი წამოვიდნენ კ.კ-ს გარდაცვლილი მეუღლის საფლავზე. ამ დროს კ.კ-მ ნ.ჯ-ს შესთავაზა ცოლობა, თუმცა უარის მიღების მიუხედავად, აიძულებდა მას ხან ფიზიკურად და ხან ფსიქოლოგიურად.

კ.კ-ს გარდაცვლილი მეუღლის სასაფლაოზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულების შემდეგ 22 მარტს, დილის საათებში, კ.კ-მ ნ.ჯ. მიიყვანა ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

2016 წლის 22 მარტს, საღამოს საათებში, კ.კ-მ ნ.ჯ. ჩამოიყვანა ზუგდიდის რაიონში და მიიყვანა გარდაცვლილი მეუღლის სასაფლაოსთან, სადაც მასთან ქორწინებაზე დათანხმების მიზნით კვლავ განახორციელა ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულება.

ძალადობის შემდეგ კ.კ-მ ნ.ჯ. წაიყვანა თავისი ნათესავის სახლში, სადაც კვლავ აიძულებდა ნ.ჯ-ს ქორწინებაზე დათანხმებულიყო და არ აძლევდა წასვლის საშუალებას. ნათესავის სახლში კ.კ. და ნ.ჯ. იმყოფებოდნენ 23 მარტის დილის საათებამდე. ნ.ჯ-ს ოჯახის წევრების მოსვლის შემდეგ კ.კ. ნათესავის სახლიდან გაიქცა.

კ.კ. დამნაშავედ ცნეს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 150[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

N4. ლ.ჭ-ს და ვ.შ-ს საქმე

ზუგდიდის რაიონული სასამართლო

საქმე განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე

აღკვეთის სახით ორივე ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია გირაო

ბრალდებული ვ.შ. საშუალო განათლების მქონე, დაოჯახებული, ნასამართლობის არმქონე

ბრალდებული ლ.ჭ. საშუალო განათლების მქონე, ნასამართლობის არმქონე

კვალიფიკაცია: სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი - თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით

სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

სსკ-ის 1501-ე მუხლის პირველი ნაწილი - ქორწინების იძულება

სსკ-ის 25.1501-ე მუხლის პირველი ნაწილი - ქორწინების იძულებაში დახმარება

ბრალდებულებთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება

ორივე ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით, რაც პატიმრობაში ყოფნის ვადის (2018 წლის 16 ნოემბრიდან 2018 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით) გათვალისწინებით სსკ-ის 62-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, შეუმცირდათ 2 000 ლარით და საბოლოოდ, ლ.ჭ-სა და ვ.შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა, თითოეულს 5 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დაახლოებით 2015 წელს ლ.ჭ-მ და დ.შ-მ გაიცნეს ერთმანეთი. როგორც განაჩენშია მითითებული, მათ ჰქონდათ სასიყვარულო ურთიერთობა, თუმცა შემდეგ დ.შ-მ მიიღო გადაწყვეტილება, შეეწყვიტა მასთან ურთიერთობა. ლ.ჭ. მიხვდა, რომ დ.შ. ნებაყოფლობით არ გახდებოდა მისი მეუღლე და განიზრახა ქორწინების იძულების მიზნით მისთვის უკანონოდ აღეკვეთა თავისუფლება, რაშიც დახმარება სთხოვა ვ.შ-ს.

შეთანხმებისამებრ, 2018 წლის 16 ნოემბერს, დაახლოებით 11:30 საათზე ლ.ჭ-მ იმისთვის, რომ დ.შ-ზე მოეხდინა ფსიქოლოგიური ზემოქმედება და იძულებული გაეხადა ის, რომ ქორწინებაზე თანხმობა ეთქვა, ვ.შ-ს დახმარებით და ძალის გამოყენებით, იძულებით ჩასვა ავტომანქანაში, რომელსაც ვ.შ. მართავდა. მიუხედავად დ.შ-ს არაერთი მოთხოვნისა, ავტომანქანა არ გაუჩერეს და არ მისცეს სახლში დაბრუნების შესაძლებლობა. ასევე, მასზე ახდენდნენ ზემოქმედებას, რათა ქორწინებაზე დათანხმებულიყო.

2018 წლის 5 დეკემბერს გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორს და ბრალდებულებს - ვ.შ-ს, ლ.ჭ- სა და ადვოკატ დ.ს-ს შორის.

პროკურორმა იშუამდგომლა ვ.შ-ს და ლ.ჭ- მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

პროკურორის შუამდგომლობით ბრალდებული:

ვ.შ. დამნაშავედ ცნეს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 25,150[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

ლ.ჭ. დამნაშავედ ცნეს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 150[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით.

N5. ლ.ე-ს საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლო

განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე

აღკვეთის სახით გამოყენებულია გირაო

კვალიფიკაცია: სსკ-ის 1501-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - ქორწინების იძულება

სასჯელად განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 250 საათის ვადით.

2018 წლის 18 სექტემბერს, დაახლოებით 22:00 საათზე, ქ. თბილისში, ნ.ი-ის ბინაში მივიდა ლ.ე. მან დაიწყო ბინის კარზე ბრახუნი და ნ.ი-ის მისამართით გინება, ლანძღვა და მუქარა, რომ თუ ცოლად არ გაჰყვებოდა, მოკლავდა. კარის გაღების შემდეგ, ლ.ე. შევიდა სახლში და ნ.ი-ს კვლავ დაემუქრა, რომ ყელს გამოჭრიდა, თუ ცოლად არ გაჰყვებოდა. აღნიშნული ქმედებებით ლ.ე. ახორციელებდა ნ.ი-ის ფსიქოლოგიურ იძულებას, რათა ქორწინებაზე დაეთანხმებინა.

ლ.ე-მ აღიარა ბრალი და მტკიცებულებები სასამართლო განხილვაზე გახადა უდავოდ.

ლ.ე. დამნაშავედ ცნეს სსკ-ის 150[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

N6. ი.ო-ს საქმე

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო

განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე

აღკვეთის სახით შეფარდებულია პატიმრობა

ბრალდებული ი.ო. - არასრული საშუალო განათლების მქონე, დაოჯახებული, ნასამართლობის არმქონე, უმუშევარი

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის მე-111, 1501-ე მუხლის მე-2 ნაწილი - ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის ქორწინების იძულება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელის მოხდა განესაზღვრა პენიტენციარულ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 1 წელი ჩაეთვალა პირობით მსჯავრად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

ი.ო-ს ასევე დაეკისრა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

თეთრიწყაროს რაიონის ერთ-ერთ სოფელში 2018 წლის მარტსა და აგვისტოში სისტემატური ყვირილითა და დარწმუნებით, იცოდა რა მისი ასაკი, ი.ო. აიძულებდა თავის არასრულწლოვან შვილს ი.ო-ს , რომ თავისი ნების საწინააღმდეგოდ ექორწინა ს.ა-ზე.

ი.ო-ს განცხადებით, სწავლის გაგრძელების ნაცვლად მამამისს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ სურდა, გაეთხოვებინა მის თანასოფლელზე. იგი იცნობდა ს.ა-ს, თუმცა არ უყვარდა და არ სურდა მასზე დაქორწინება. ქორწინებას აიძულებდნენ ოჯახის წევრები და ნათესავები, განსაკუთრებით მამა, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ უწევდა. მამა ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახ-

დენდა სისტემატურად, ეუბნებოდა, თუ არ დაქორწინდებოდა, სოფელში იტყოდნენ, რომ ი.ო. და მამამისი „ცუდი ადამიანები“ არიან. ამას იმეორებდა იმდენჯერ, რამდენჯერაც ი.ო. უარს ამბობ-და დაქორწინებაზე.

მამის მხრიდან ქორწინების იძულებას ადგილი ჰქონდა 2016 წელსაც, რაზეც გამოძიებაც დაიწყო, თუმცა მშობლები ი.ო-ს შეჰპირდნენ, რომ მხოლოდ მისი სურვილით მოხდებოდა აღნიშნული, რის გამოც გამოკითხვისას თქვა, რომ დაქორწინებას არავინ აიძულებდა და გამოძიებაც შეწყდა.

2018 წლის მარტში ი.ო. დაინიშნა ს.ა-ზე, აგვისტოში ჩაინიშნა ქორწილის თარიღი (2018 წლის 8 სექტემბერი).

ი.ო. დამნაშავედ ცნეს სსკ-ის მე-11[1] მუხლითა და იმავე კოდექსის 150[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

N7. მ.ე-ს საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლო

განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე

აღკვეთის სახით შეფარდებულია პატიმრობა

ბრალდებული - მ.ე. ნასამართლობის არმქონე

კვალიფიკაცია: სსკ-ის 126-ე მუხლის 12 ნაწილი, სსკ-ის 1501-ე მუხლის პირველი ნაწილი - სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ქორწინების იძულება.

მ.ე-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

ნ. და მ.ე. ერთმანეთს იცნობდნენ 2017 წლის სექტემბრის თვიდან. ურთიერთობის პერიოდში ერთმანეთს დაუახლოვდნენ და სამომავლოდ აპირებდნენ დაოჯახებას. 2018 წლის აპრილის თვიდან მათი ურთიერთობა დაიძაბა, ვინაიდან მ.ე. გახდა აგრესიული და ეჭვიანი, უკრძალავდა მას სხვა მამაკაცებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაციის დამყარებას და მუშაობას. ამის გამო ნ-მ კატეგორიული უარი განუცხადა მას ოჯახის შექმნაზე და დაასრულა მასთან ურთიერთობა.

2018 წლის აპრილის თვის ბოლოს მ.ე-მ ნ-ს სამსახურში მიაკითხა. თანამშრომლებთან შერცხვენის შიშით ნ. იძულებით ჩაჯდა მ.ე-ს კუთვნილ ავტომანქანაში საუბრის მიზნით. მან ავტომობილი წაიყვანა მცხეთის მიმართულებით, გზაში კი უყვიროდა და ემუქრებოდა ნ-ს, რომ მისი ცოლი გახდებოდა და იმ დღიდან აღარ იმუშავებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდა მას. ნ-ის თანამშრომლისა და დედის დახმარებით მ.ე-მ ნ. სამსახურში დააბრუნა, თუმცა კვლავ არ აძლევდა საშუალებას შესულიყო ლიფტში, კერძოდ, მკლავში ჩაავლო ხელი და მიჰყავდა ავტომანქანისკენ, რა დროსაც დაცვის თანამშრომლებმა დაიხსნეს მ.ე-სგან.

მოგვიანებით, მ.ე. კვლავ დახვდა ნ-ს საცხოვრებელ კორპუსთან და ფსიქოლოგიური იძულებით ჩასვა ავტომანქანაში. ნ-მ კატეგორიული უარი განუცხადა მას ცოლად გაყოლაზე, რაზეც ის გახდა აგრესიული, უყვიროდა და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, საჭე ვეღარ დაიმორჩილა და ავტომანქანით დაეჯახა შენობის კედელს, რაც ასევე ნ-ს დააბრალა და ყელში ძლიერად მოუჭირა ხელები, რის შედეგად მას სუნთქვა უჭირდა და განიცდიდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ქ.თბილისში, ნ-ს მ.ე-მ არასასურველი ფოტოების გავრცელების მუქარით აიძულა, ჩასულიყო პირველ სართულზე, სადაც მკლავებზე ჩაავლო ხელი, რამდენჯერმე ძლიერად შეანჯღრია, აგრეთვე თმაში ჩაავლო ხელი და მოქაჩა, შემდეგ კი სახის მარცხენა არეში ორჯერ დაარტყა გაშლილი ხელი. როდესაც ფიზიკურ ძალადობას ახორციელებდა, თან ეუბნებოდა, რომ იმავე დღეს აუცილებლად ერთად უნდა წასულიყვნენ საზღვარგარეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ მიაყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და მოუსპობდა სიცოცხლეს.

მ.ე-ის მიერ არაერთი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ქორწინების იძულებისა და მუდმივი არასასურველი ზემოქმედების შედეგად, ნ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი და ფსიქოლოგიური (მორალური) ტანჯვა.

მ.ე. დამნაშავედ ცნეს სსკ-ის 126-ე მუხლის 1^2-ლი ნაწილით, სსკ-ის 150^1-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.